სახალხო გაზეთი

№ 589 ოთხშაბათი, 2 მაისი, 1912 წ. № 589

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მაისის პირველს მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იოსებ იობის ძე გოგიტიძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **მეუღლე მართა, მისი შვილები ალექსანდრე, ნიკანდრი და ბარბარე გოგიტიძენი.** პანაშვიდები ყოველ დღე დილის 11 საათზე და საღამოს 7 საათზე (საკუთარი ბინა, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ძველად ავჭალისა № 14). განსვენებულის გვამს ოზურგეთში წაასვენებენ ტფ. სადგურიდან ხუთშაბათს, 3 მაისს, ნაშუადღევის სამ საათზე. დაკრძალვა სოფ. ექადის ეკლესიის ეზოში, პარასკევს, 4 მაისს. (1—418—1)

გულდამწვარი მეუღლე **ნატალია იოსების ასული გონიევისა ქალითურთ** ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას ძვირფასის და დაუვიწყარის ქმრის

მიხეილ ალექსანდრეს ძის გონიევისას.

პანაშვიდი 2 მაისს, საღამოს 7 საათზე (კიროჩნის ქ. სახლი № 54) გამოსვენება 3 მაისს დილის, 10 საათზე, სომეხთა ღვთის მშობლის ეკლესიაში, ვორონცოვის ძეგლთან. (1.417.1).

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 3 მაისს,

ქართველ მსახიობთა მიერ გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა
ვლ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება:

ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქ. და 10 სურ. ფრ. შილლერისა. თარგ. ნ. ავალიშვილისა.
მონაწილეობენ: ქ. ო. ლეჟავა. ბ.ბ. **ვლ ალექსი-მესხიშვილ,** კ. მესხი, ი. ზარდალიშვილი, გ. იმედაშვილი, ი. ქივიძე, შ. ხონელი, ა. ალექსიძე, მ. სარაული და სხვა.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** (2—1196—1)

ახალი კლუბი

ოთხშაბათს, 2 მაისს 1912 წ.

ჩვეულებრივად
სინემატოგრაფი
ივანიცკაიასი.

დასაწყისი სწორედ საათის ცხრის-ნახევარზე საღამოთი. (2.1192.2)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,
ყურადღება მიაქციონ
ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ი რ ი ს",

25 ცალი 15 კ. ‒ 10 ც.—6 კ.
საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,
ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.
ყველგან იყიდება.
თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები".

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.
(100.1036.34)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი სნეულ. განყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. (ქირურგ.) განყ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალთ. სნეულ. განყ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვ. სნეულ. განყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. განყ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ. განყ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. სნეულ. განყ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენერ. განყ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—327)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**
შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—1534—214)

ქუთაისში

ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მალაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის [illegible] საზღვარ-გარეთის ლამფები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალპაკები და სპილენძის ჭურჭ[illegible] კები და ყოველგვარი სოფლის მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვ[illegible] რწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლის [illegible] კლიონკა და იატაკზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფორტეპიანები და ყოველ[illegible] მები, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები, არმატურები და მოწყობილებანი, [illegible] შიკები) ახალის სისტემისა და საეკლესიო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 [illegible] და ბათომის ოლქის წარმომადგენლობაც: გვაქვს **საწერი მანქანა „ტორპედოსი"**. ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (ფ. 1236.2)

ქუთაისში

ვასწავლი
ქართულ სიმღერა-გალობას
სამშაბათობით და ხუთშაბათობით 5—6 საათამდე.
ადრესი: ავჭალის მოედანი № 11.
მუშებს და ნოქრებს კვირაობით 3—4 საათამდე
ადრესი: ავჭალის ქუჩა № 29,
იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.** (6.416.1)

ახალი გამოცემა ქართულ სიტყვ კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა

ბესიკი

(ბესარიონ გაბაშვილი)
ფასი 1 მან.

იყიდება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობათ 20% დაკლებით. საწყობი: ოლგის მისახვევი № 5 ბინა გ. ს. რცხილაძისა. 0—1235—4

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ
1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი
რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.
და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟესტი", სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.
ფასები ზომიერია. (25 1195.16)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა
ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,
(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარა აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ქუთაისი

ქუთაისი

შუაგულ ქუთაისში, „მწვანე ბაზარში", ახლად გაიხსნა
ლამაზად გაკეთებული და მორთული
პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო

„ბრისტოლი", მშვენიერი ფლიგელი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

ფასები ზომიერია. ქუთაისი (25.1194.17)

ქუთაისი

ქართველთა შ. წერ.-კითხვ. გამ. საზოგ. წიგნის

მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები

საკუთარებანი წ.-კ. საზოგადოებ., ი. გოგებაშვილის მიერ დაწერილი.

საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან ფ.	20
Методическое руководство къ преподаванію Русскаго языка, მესამე გამოცემა	40
ბურჯი ეროვნებისა	20
იავნანამ რა ჰქმნა?	5
ასპინძის ომი.	7
თავდადებულნი ქართველნი	5
მეფე ერეკლე და ინგილო ქალი	5
რანი ვიყავით გუშინ?	20
რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები	1 —

ყოველს ამ წიგნთაგანს ვინც 5 ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20%.
ადრესი: Тифлисъ О—ва распространенія грамотности.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.102).

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—150).

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 292)

გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (не далеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.16)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ძოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"

(წლ.—1018—259)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 158)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—47).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—28)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—84)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ- ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67. სახლი სვანიშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ექიმი კბილისა **არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.27)

სახელმწიფო სათათბირო

დ ე პ ე შ ე ბ ი

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

გაათავეს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

მუხლი, რომელიც მიწად-მოწყობას ეხება, მიიღეს **კაპნისტის** შესწორებით. კაპნისტს მიემხრნენ მომხსენებელი ოპოჩინინი და **მიწად-მოწყობის საქმის გამგის თანაშემწე რიტიხი.** შესწორება მოითხოვს ერთი მილიონის გადადებას ცეცხ-გამძლე შენობათა ასაგებად.

მიიღეს აგრეთვე წინა სხდომაზე შეტანილი შესწორება და მოსაზრება ლიანხნიცკისა და ბერეზოვსკი პირველისა.

განსახილველია სამეურნეო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა. კომისიას მოუწონებია ნავარაუდევი ხარჯი—21,879,911 მან.

მომხსენებელი გრაფსკი. ხარჯის გადიდება გამოიწვია სურვილმა, რომ ადგილობრივი თაოსნობა განვავითაროთ. სოფლის მეურნეობის საქმე ეხლა კარგად არის. ამ ხუთ წელიწადში რუსეთის მეურნეობამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინა და სხვებს მაგალითადაც გამოადგება. ამიტომ საჭიროა უწყების გარდაქმნა, რეფორმა.

ტომილოვი. უწყება მიწებს კარგად ვერ უვლის და ვერ იკვლევს. მაგალითად ასტრახნის გუბერნიაში ბევრი მიწაა გამოუკვლეველი.

კროპოტოვს საჭიროდ მიაჩნია აგრონომებისა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა დაახლოვება, გამოფენის გამართვა.

შეიდემანი. ყველაზე უწინარეს საჭიროა უწყების რეორგანიზაცია.

ტიმოშკინი იცავს თავის მოსაზრებას და მოითხოვს ლოვეცის მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა.

ბარდიგინი. კასპიისა და ვოლგის ნაპირებზე ყირგიზებს აუკრძალოთ დასახლება, რადგანაც მთლად გააქრობენ თევზის სინსილასაო.

ბერეზოვსკი პირველი უკმაყოფილოა, რომ სამეურნეო საჭიროებისათვის ფული უსისტემოდ იხარჯება.

კოვალენკო პირველი. უეჭველად საჭიროა ერთსა და იმავე გუბერნი-

ებში მოუსავლობის გახშირების მიზეზის გამოკვლევაო.

საზოგადო კამათი გათავდა.

ცალკე მუხლთა გამო ლაპარაკობენ **კროპოტოვი, გრაფი უვაროვი და ბერეზოვსკი პირველი**. უკანასკნელმა შეიტანა ფორმულა: სააგრონომიო დახმარების საქმეს მიწადმომწყობი უწყება უნდა განაგებდეს და არა ადგილობრივი სამმართველონიო.

ხარჯთ-აღრიცხვა **ბარიბინისა, ბერეზოვსკისა და ტიმოშკინის** შესწორებით მიიღეს.

უკამათოდ მიიღეს სასოფლო ეკონომიის განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა. ყველაზე მეტი ფული გადაუდვიათ შინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად.

ნოვიკოვი კითხულობს მოხსენებას მიწათა გაუმჯობესების განყოფილების ხართ-აღრიცხვის თაობაზე. მომხსენებელი აღნიშნავს, რუსეთ-ამერიკის ხელშეკრულების დარღვევამ ნათელჰყო, თუ რამდენად საჭიროა თურქისტანში ბამბის მოყვანის საქმის მოგვარება. სახელმწიფოს ამისათვის ძალიან ცოტა უზრუნვია. უწყების წარმომადგენელთა აზრით, საჭიროა კერძო პირთა თაოსნობა. ამ საქმისათვის თურქისტანის მორწყვაა საჭიროო და საკვირველია, რატომ აქამდე არ მიუნდვია, ეს საქმე უწყებას ამერიკელ მრეწველ დონმონდისათვის. საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია ამ საქმეში კერძო ფულის დაბანდება და თურქისტანის მორწყვა.

როჟკოვი აღნიშნავს გლეხობის გაჭირვებას. სტავროპოლის გუბერნიის გლეხობა ძალიან შეუწუხებია უწყლობასა, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი მილიონი მანეთი იხარჯება ამ საქმისათვისაო.

ტიმოშკინი ეხება ეგრედ წოდებულ „გოლოდნაია სტეპს“ და აღნიშნავს: იჯარით გაცემა ამ ადგილების მორწყვის საქმისა ოქტომბერში მომხდარა და უწყების წარმომადგენელნი კი საბიუჯეტო კომისიაში დეკემბერში ლაპარაკობდნენ, საჯარო ვაჭრობა ჯერ არ გაგვიმართავსო.

მიწათა გაუმჯობესების განყოფილების გამგე: უწყების მიზანია, რუსეთში შეძლებისამებრ გააძლიეროს ბამბის მოყვანის საქმეო. ამის და მიხედვით აოძონდმა კარაკუმის მინდვრები დაათვალიერა, ბევრი ფული დახარჯა, მაგრამ შემდეგ ხელი აიღო მუშაობაზე. ამ უკანასკნელ დროს მაინც ბევრად წინ წავიდა ბამბის მოყვანის საქმე. მოლაპარაკე მაგალითებით ამტკცებს ნათქვამს.

მიწათა მომწყობ უწყების გამგის თანაშემწე გრაფი იგნატიევი ტიმოშკინს უპასუხებს. ოქტომბერში საჯარო ვაჭრობის ცდა მოვახდინეთ მხოლოდ, ნამდვილად კი საქმე დეკემბრის დამლევს მოგვარდაო.

ხარჯთ-აღრიცხვა და საბიუჯეტო კომისიის მოსაზრება მიიღეს **კროპოტოვისა, პეტროვსკისა და ლიახნიცკის სიტყვებს შემდეგ**.

მენშიკოვი კითხულობს სატყეო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვას. ხარჯი ნავარაუდევია 30,024,338 მან. რისათვისაც კომისიას 20 ათასი მანეთი დაუკლია. მომხსენებელი აღნიშნავს უწყების საკანტროლო ნაწილის ნაკლსა და ამბობს, საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონო.

სალთელიანი ლაპარაკობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტყეს კავკასიისათვის. ტყე კავკასიელებისათვის მარტოოდენ მასალა კი არ არის, იგი იფარავს ბარს ნიაღვრის წალეკისაგან. კავკასიას დიდი საფრთხე ელის. საჭიროა განსაკუთრებული ღონე ტყის გადასარჩენად. ამ საქმეში თუ მთავრობამ ხელმომჭირნეობა გამოიჩინა, ძვირად დაუჯდება იგი.

ტომილოვს შეაქვს მოსაზრება, ტყის დაცვის კანონი არხანგელის გუბერნიაშიაც უნდა მოქმედებს, რადგანაც გემებისათვის საჭირო მასალა კლებულობსო.

ხარჯთ-აღრიცხვა უცვლელად მიიღეს.

მიიღეს **ტომილოვის** მოსაზრება და **შილოს** ფორმულა, რომელიც ტყის დაცვას და შორეულ აღმოსავლეთში ტყის სარგებლობის მოწესრიგებას მოითხოვს.

შემდეგი სხდომა სამშაბათს მოხდა.

სახელმწიფო საბჭო

თავმჯდომარეობს აკიმოვი.

განაგრძობენ უმაღლეს ტიპის პირველ დაწყებით სკოლათა დებულების განხილვას.

შვარცი. დიდ ხანს ლაპარაკობს ვასილიევის შემოტანილ შესწორების გამო. იგი მოითხოვდა, სათათბიროს პროექტი უმაღლესის ტიპის პირველ დაწყებით სკოლიდან საშუალო სკოლაში გადასვლისა, აღვადგინოთო. მოლაპარაკეს ძალიან საგულისხმოდ მიაჩნია ეს საკითხი. საჭიროა აგრეთვე საშუალო სასწავლებელთა რეფორმა. ვასილიევის შესწორება გიმნაზიებს აენებს და ამიტომ მისაღები ვერ არის. მით უფრო ვერ მივიღებთ ვასილიევის შესწორებასა, რომ არ ვიცით, რანაირი იქნება საშუალო სასწავლებელი, როდესაც რეფორმას მოვახდენთ. ამიტომ უეჭველად საჭიროა იმ მუხლის გამოტოვება, რომელიც ნებას იძლევა პირველ დაწყებით სკოლებიდან საშუალო სასწავლებელში გადასვლისას.

განათლების მინისტრის თანაშემწე ბარონი ტაუბე შვარცს ემხრობა და აღნიშნავს: ორი ტიპის სასწავლებელთა შედუღების საკითხი ჯეროვანად ვერ მომწიფებულა ჯერა და დროებით ეგ მუხლი უნდა გამოვტოვოთო.

კენჭი უყარეს საკითხსა და ვასილიევის შესწორება უარ ჰყვეს; ორმოც და მეშვიდე მუხლი სათათბიროს პროექტისა, გამოსტოვეს. დანარჩენი მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს, შვარცის უმნიშვნელო შესწორებით.

შემდეგ საბჭომ განიხილა უმაღლესის ტიპის პირველდაწყებით სკოლათა კანონ-პროექტის ყველა ნაწილი.

კამათი გამოიწვია შვარცის შესწორებამ: საქალაქო სასწავლებელთა მასწავლებელთაც, რომელნიც 1912 წლის პირველ ივლისის შემდეგ გამოვლენ სამსახურიდან, პენსია დაენიშნოთ ამ კანონ-პროექტის მიხედვით და 1913 წლიდან ყველა საქალაქო სასწავლებელთა მასწავლებლებს ჯამაგირი დაენიშნოთ ახალი წესის მიხედვითაო.

. ამ წინადადების წინააღმდეგი იყო **ფინანსთა მინისტრის თანაშემწე ვებერი.**

შვარცის წინადადება უარჰყვეს. კანონ-პროექტის ყველა ნაწილი მიიღეს კომისიის რედაქციით, შემდეგ მიიღეს მთლად კანონ-პროექტი და გადასცეს შემთანხმებელ კომისიას.

სხდომა ცოტა ხნით შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას უკამათოდ მიიღეს კანონ-პროექტი მოსკოვისა და კიევის საკომერციო ინსტიტუტთა შტატის წესდებისა და ზოგიერთ შესწორებათა გამო შემთანხმებელ კომისიას გადასცეს.

შემდეგი სხდომა 2 მაისს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ სასადილოს კომიტეტი მადლობას უხდის** კნეინა ე. ზ. ერისთავისას, რომელმაც სასადილოს 100 მან. შესწირა და ტ. ნ. ბრაილოვსკისას და ე. ნ. დომერშჩინოვისას, რომელთაც თითომ 25 მან. შესწირეს.

◆ **თავ. ზ. გ. ერისთავის გვირგვინის მაგივრად** თავ. ალექსანდრე და გიორგი ნიკოლოზის-ძე ერისთავებმა ქართულ გიმნაზიასთან არსებულ სასადილოს 25 მან. შესწირეს, რისთვისაც სასადილოს კომიტეტი შემომწირველთ მადლობას უხდის.

◆ **უეცრივ გარდაცვალება.** 30 აპრილს, დილის 9 საათზე, ოლქის სასამართლოში სამუშაოდ მივიდა იქაურივე მოხელე გაბრიელ იოსების ძე ხუციევი, 50 წლისა, პალტო გაიხადა და უცებ ძირს დაეცა და გარდაიცვალა.

◆ **მტკვარში დაიხრჩო** გაუფრთხილებლობით ტფ. მაზრის სოფელ მანავის მცხოვრები ალექსანდრე მიხეილისძე ბარაშვილი. გვამი ვერ იპოვეს.

◆ **ექსკურსია.** 14—16 ივნისს ტფილისს დაათვალიერებენ კოსტრომის სავაჟო კერძო გიმნაზიის მოსწავლენი.

◆ **სასანიტარო კომისიამ** ამ დღეებში ქალაქის მესამე საპოლიციო უბანში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერა და ზოგიერთგან სანიტარულ წესების დარღვევა აღმოაჩინა. კომისიამ ყველგან შესაფერი განკარგულება მოახდინა.

◆ **წალკის წყალსადენის** შესახებ ინჟ. ნ. ა. აბელოვმა საგანგებო მოხსენება შეადგინა და ქალაქის გამგეობას წარუდგინა. გამგეობამ მოხსენება ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიას გადასცა.

◆ **შემწეობა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მიეცეს ქალაქისაგან ყოველ წლიური შემწეობა 100 მან. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს. ამ საკითხს საბოლოოდ ქალაქის საბჭო გადაწყვეტს.

◆ ნამესტნიკის მინდობილობით მისმა მოადგილე ტ. ს. ნიკოლსკიმ მინისტრთა საბჭოში ახალი საბუთები წარადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ **ტფილისში** ხაზინის მხრივ დიდი ხარჯის გაუწევლადაც, შეიძლება, დასაჭიროც არის, **უნივერსიტეტი დაარსდეს** სამკურნალო, საბუნებისმეტყველო და საიურიდიო ფაკულტეტებითაო.

◆ **თავ. ნ. ბ. ერისთავის გვირგვინის მაგივრად** სათავად-აზნაურო საქალებო გიმნაზიას 25 მან. შესწირეს კნეინა მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანმა, კნ. ნ. ე. ქობულოვისამ და კნ. ე. მ. ერისთავისამ.

◆ 30 აპრილს ტფილისში 55 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ „**კაპეიკის კავშირის**“ **საზოგადოების**“ წლიური კრება 29 აპრილს მოხდა. 1911 წელს საზოგადოებას ჰქონია ერთი თავშესაფარი (ხარფუხი) ბავშვთათვის და ორი უფასო სასადილო. შემოსავალი ჰქონია 6,578 მან. 42 კაპ., ხარჯი—4,533 მან. 35 კაპ. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ თანამდებობის პირნი აირჩიეს. არჩეულ იქმნენ ერთხმად უკენჭოდ: გამგეობის თავმჯდომარედ—კნეინა ი. კ. თუმანოვისა, მის ამხანაგად—ა. მ. ლენჩევსკი, მდივნად—ი. ი. იაკუბოვიჩი და ხაზინადრად—დ. ბ. ცინცაძე. კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: გამგეობის წევრებად—ე. ნ. მისტროვისა, ნ. ე. ერმოლაევი, ლ. რ. ელჩიევი, ა. ა. კლოპტოვისა და ა. დ. ტარტაკოვსკი, მათ კანდიდატებად: ფ. ა. დოლგოვისა, რ. მ. ეფენდიევი და ნ. მ. ალექსანდროვისა. სარევიზიო კომისიის წევრებად: პ. ა. ჯაფარიძე, გორდინსკი და ქუონი. მათ კანდიდატად—გ. ე. მირზოევი.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 30 აპრილს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით. საბჭომ ამ სალამოს მხოლოდ ქალაქის სპეციალურ თანხების ხარჯთაღრიცხვის განხილვა მოასწრო. საკითხმა მცხარე და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. დასასრულ საბჭომ ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა.

ქუთაისი

◆ მსახიობ **გუგუშვილს** ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო 3 მაისს ფოთში და 4-ს ლანჩხუთში გამართოს **სალიტერატურო-სალამო.** სალამოში მონაწილეობას მიიღებენ: ლეო ნათაძე, ეშმაკი, თაგუნა, მალაქიაშვილი, ილია ბახტაძე, ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ს. აბაშელი, გელა და სხვანი.

სომხეთა ცხოვრება

◆ აპრილის 27-ს, სალიტერატურო-სახელოვნო სალონში მოხდა „jour-fix“-ი გ. სუნდუკიანცის სახსოვრად. სალონში ყვავილებით მორთული იყო განსვენებულ დრამატურგის სურათი. მოწვეულ იყვნენ ტფილისის ის „ყარაჩოღელებიც“, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დრამატურგის დაკრძალვაში. „პეპოს“ ტანისამოსი ეცვა მსახიობ გ. გედევანოვსაც, რომელშიაც ორი მონოლოგი წარმოსთქვა „პეპოდან“. სალამო გახსნა „მშაკის“ რედაქტორმა ალ. ქალანთარმა, რომელმაც ვრცლად გაარჩია გ. სუნდუკიანცის პიესები. შემდეგ ილაპარაკეს და მოგონებანი წარმოსთქვეს მასწავლებელმა სოლოვიანმა, ა. კასპარიანმა, გ. ლევანიანმა, ა. არასხანიანმა, მ. ჩმშკიანმა, მღვდელმა ხუციანმა და სხვებმა. ბ-ნმა ა. გასპარიანმა, სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა ქართულ ენაზე; სიტყვაში ის აზრი გამოსთქვა, რომ რამდენადაც გ. სუნდუკიანი პატივსაცემელი და ნიჭიერი დრამატურგი იყო სომხებისათვის, იმდენად იგი საყვარელი და მნიშვნელოვანი იყო ქართველ ხალხისათვის. ა. გასპარიანის თხოვნით დამსწრეთა შორის მყოფმა ბ. ილია ნაკაშიძემ რუსულ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა; ამ სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ სუნდუკიანის მაგვარი პირები ერთა შორის ავრცელებენ სოლიდარობისა და ძმურის სიყვარულის იდეასაო. შიგა და შიგ ვიოლონისტმა გ. ვრუირმა ლამაზად დაუკრა სხვა და სხვა პიესები. საკონცერტო განყოფილებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. სალამო დასრულდა შუაღამის 12 საათზე.

სოფლად.

◆ **დიდის ლიახვის ხეობის** მცხოვრებნი საგონებელში ჩააგდო წრევანდელმა არაჩვეულებრივმა მეტად ცივმა გაზაფხულმა. მარტიდგან დაწყობილი დღევანდლამდე წვიმები და მასთან ცივი ქარი ჰქრის. 26—29 საშინელი ძლიერი ზენა ქარი ამოვარდა, რამაც ახლად გამოსული ყლორტები ძირში დაამტერია. რთვილმა მოსუსხა გამოსული ყვავილი.

◆ **დ. ხარაგაული.** 22 აპრილს შეუდგნენ ადგილობრივ **წვრილ კრედიტის საამხანაგო ბანკის რევიზიას** სარევიზიო კომისიის წევრები ბ-ნნი მიხ. დეკანოსიძე, კ. ჯაფარიძე და დ. ამაშუკელი საბჭოსა და გამგეობის წევრების გამოუცხადებლობისა გამო რევიზია გადასდეს. საქმის დავთრები გადაუთვალიერებიათ და აღმოჩენილა, რომ წესიერად ვერ არის წარმოებული. საბჭოს წევრების მხრივ, ლადო ტატიშვილის გარდა, საწარმოვო დავთრები არავის არ შეუმოწმებია.

◆ ეს ერთი თვეა თითქმის **განუწყვეტლივ წვიმს** და მეტად ცივა. მახლობელ მთებზე თოვლი დასდო.

ფრიად საყურადღებო საქმე

ამ წლის 21 აპრილს „სახალხო გაზეთში“ მოთავსებული იყო საინტერესო წერილი რ. გაბაშვილისა „კიშელგური ანუ ინფუზორიის მიწა და მისი მომავალი ჩვენში“. ამ წერილს ჰქონდა მიზნად მიექცია ყურადღება ქართველ შეძლებულ მოღვაწეთა, ვაჭართა და სხვათა ინფუზორიის მიწის დამუშავების მომავალზე და მის დიდ მნიშვნელობაზე საქართველოს მრეწველობის აღორძინების საქმეში.

არ გავიმეორებ ხსენებულ წერილის საბუთებს, რომლითაც ნათლად მტკიცდებოდა ისიც თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ იმათ, ვინც ნივთიერად დაეხმარება და ენერგიულად გაუძღვება ამ საქმეს.

ინჟინერი კოგანი თავის მოხსენებაში, რომელიც წაიკითხა ამ ათის წლის წინად ოდესის სატეხნიკო საზოგადოებაში, ამტკიცებდა, რომ „ინფუზორის დამუშავების და გასაღების საქმეს ახალციხის რაიონში დიდებული მომავალი მოელისო“ და იწვევდა რუსეთის მრეწველობას—ამ საქმეს ხელი მოჰკიდეთო. ნივთიერი მხარე ამ საქმისა გამორკვეულია დიდ სარგებლობას მოიტანს. მაგრამ ჩვენ არა ნაკლებ სხვა მხარეც გვაინტერესებს:

— იდეური..,

მე-19 საუკუნეს საქართველოში დაიბადა ერთი „უცნაური“ ქართველი —მ. ს. ბეთანიშვილი. ამ კაცმა აღმოაჩინა თავის მამულში ახალციხის ახლო ინფუზორის მიწა. ყოყმანსა და რყევაში დრო აღარ დაჰკარგა. ბეთანიშვილმა ინფუზორიის მიწის ნიმუშებით შემოიარა ამერიკა, პარიზი, ლონდონი, რუსეთი იმის გასაგებად, ექნება თუ არა გასავალი ამ საუცხოვ. განძს და ვის შეუძლიან ნივთიერი დახმარება გაუწიოს მას მიწის დამუშავებაში და გასაღებაში. საზღვარ გარედ ამ ნიმუშებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დაინტერესებულნი კაპიტალისტები დაფაცურდნენ.. ბევრმა თავისი პირობებიც წარუდგინეს ბეთანიშვილს, მაგრამ პირველი მუხლი სუყველა პირობებისა იყო: „მოგვყიდეთ ინფუზორის მიწის ალაგი“-ო..

„უცნაურმა“ ქართველმა ამ პირობებზე სუყველას უარი გამოუცხადა.

„მოვკვდები და ჩემს სამშობლო მიწას უცხოელებს არ მივყიდი“-ო

მართლადაც „უცნაურმა“ ქართველმა თავისი სიტყვა აასრულა:

მოკვდა და სამშობლო ქვეყანას შეუნარჩუნა მდიდარი და საუცხოვო განძი, ღირებული, ერთ გერმანელ ინჟინერის დაფასებით, 200.000.000 მან. დიდი კაცი ყოფილა ეს უცნაური ქართველი. ქართველი, მეტადრე შედარებით ეხლანდელ ქართველებთან, რომელნიც თავის მიწა წყალს უდარდელად უცხოელებზე ჰყიდიან.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს. ეხლა ეს ხსენებული განძი ქართველის—პ. ი. იზაშვილის—ხელშია.

ბ. ი. იზაშვილიც ძალიან მედგრად იბრძვის იმისათვის, რომ ეს საქმე ქართველების მეოხებით მოეწყოს,

არა ერთხელ მიუმართავს ქართველ საზოგადოებისათვის სააადგილ - მამულო კომისიის დახმარებით. კომისიამ სამჯერ მოიწვია შეძლებული ქართველები ამ საქმის მოსაწყობად. თრიოდე კაცის თანადასწრებით ძლივს შესდგა ერთი კრება. პაწია კრებამ აირჩია სამი მცოდნე კაცი და გაგზავნა ახალციხეს ინფუზორის მიწის დამუშავების პირობების გამოსარკვევად.

ამათ დაწვრილებით გამოიკვლიეს სუყველა პირობანი და მოიწვიეს კრება. მაგრამ ამაოდ... ქართულმა გულ-გრილობამ ხელახლად იჩინა თავი. კრებას არავინ არ დაესწრო და არ შესდგა.

ინიციატორებმა დაადგინეს მოიწვიონ კიდევ ერთი და უკანასკნელი კრება,*) რომელმაც საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს:

1. შერჩეს ეს ყოველივე მხრივ მდიდარი საქმე ქართველებს თუ არა? (უცხოელებთა შორის ბევრი მსურველნი არიან მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და კაი ფასსაც იძლევიან),

2. და თუ შერჩეს მაშინ დაუყოვნებლივ მოეწყოს აქციონური ამხანაგობა, შეგროვდეს მოკლე ხანში საწარმოვო თანხა (12,000—30,000 მან.) და დაიწყოს მუშაობა.

ამ საქმისთვის კიდეც მზად არიან მცოდნე და თავდადებულნი პირნი. ეხლა ლაპარაკია პაწია თანხის შედგენაზეა როდის დაუბრუნდებით ჩვენ გაღატაკებულ და დაბეჩავებულ სამშობლო მხარეს? როდის გაბატონდება ის ძლიერი გრძნობა, რომ ქართულ საქმეს მარტო მაშინ დაეტყობა აღორძინების ნიშნები, როცა უუმთავრეს ჩვენს ძალ-ღონეს ქართულსავე საქმეს შევსწირავთ და გაუძღვებით მათ? სწორედ ეხლა გვეძლევა შემთხვევა და შეგვიძლიან გამოვიჩინოთ ჩვენი ნივთიერი და პრაქტიკული უნარი.

პატარა მწყობრ ორგანიზაციას, პატარა თანხით, შეუძლიან დიდი საქმე მოაწყოს. ან და ავხსნათ პასუხისგება ქვეყნის წინაშე ბ. იზაშვილს. და განსვენებულ მ. ს. ბეთანიშვილის ძეგლზე წავაწეროთ:

შენ იყავი პირველი და უკანასკნელი „უცნაური“ ქართველი.

დავით კახელი.

ხმა გორიდან

სიამოვნებით ამოვიკითხე ამას წინად გაზეთებში რომ ვალ. გუნიას მეთაურობით შესდგა ქართველ მსახიობთა დასი პროვინციაში სამოგზაუროდაო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ეს სიამოვნება მწარე გრძნობად შემეცვალა. ნეტავი პირი სულ არ ექმნათ აქეთ, ან თუ მოდიოდნენ, ჩვეულებისამებრ გზად გაევლოთ. მაინც უბედურს საათზე დაწერილა ჩვენი ბედის წიგნი და მაინც. ყოველ დღიურ ცხოვრების მორევში ყელამდე ჩაფლულნი გადაგვიყოლოს ბარემ თან პროვინციის ერთფეროვანმა, მოსაბეზრებლმა ცხოვრებამ. დიდისა და პატარას სალაპარაკო მაინც არ გავხდებოდით.

როგორც მკითხველსაც ეცოდინება, დასი, მარშრუტის მიხედვით, პირველად გორს უნდა სწვეოდა. გვეწვივნენ კიდეც, 27 აპრილს დანიშნული იყო განსვენებულ გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“ და გუნიას ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება“. სამწუხაროდ, წარმოდგენას არ დავსწრებივარ და სანდო პირებმა რაც გადმომცეს, იმას გიამბობთ. წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო სალამოს 8½ საათზე. ხალხი გვიან მისულა. უთამაშნიათ „პეპო“. მსახიობთ გამოუცხადებიათ—უკაცრავად, ვოდევილს ველარ ვითამაშებთ, მატარებელზე გვიგვიანდება, ფოთში მივეჩქარებით, მის მაგიერ დივერტისმენტი იქმნება გამართული ი.. ეკალაძის, გრიშაშვილის და სხვ. მონაწილეობითაო. სცენაზე გამოვიდა ი. ეკალაძე თვის ნაწარმოების წასაკითხად და აი აქ მოხდა ის, „რაც მხოლოდ გორში შეიძლება მოხდესო“ მიამბო გულის ტკენით ერთმა პატივსაცემმა პირმა. დარბაზში ასტყდა ღრიალი, ბრახუნი, გაისმა სხვა და სხვა „ეპიტეტები“ სცენისაკენ მიმართული. რად დასჭირდათ მსახიობთ ასეთი „არევ-დარევა“, რად აჩქარდნენ, როდესაც თურმე მატარებლის მოსვლამდე 1—1½ საათი კიდევა რჩებოდა, ან რად არჩიეს(?) ფოთის საზოგადოება გორისას, დეე მათ საიდუმლოებას შეადგენდეს, მაგრამ ნუ თუ გორელებს სხვა გზა არა ჰქონდათ პროტესტის გამოცხადებისა, გარდა ფეხების ტყაპუნისა, ხელების ქნევისა, და „არ გვინდა“, „არ გვინდაო“ ღრიალისა? აბუჩად აგვიგდეს? მოვსთხოვოთ პასუხი პრესის საშუალებით. ესთეტიურად დატკბობის მაგიერ გრძნობა შეგვილახეს? შელახულ გრძნობის დასაკმაყოფილებლად მივმართოთ კულტურულ საშუალებას. ყველა ყველა და რა დამნაშავე იყო ბ. ეკალაძე, რომ ასეთი „დემონსტრაციით“ შეხვდით? რა დამნაშავენი იყვნენ ის მსახიობნი, რომელნიც დიდი ხნის შემდეგ პირველად გვეწვივნენ გორელებს? ზოგიერთმა ისიც გადმომცა—გვეგონა წარმოდგენაში მონაწილეობას [illegible] საფაროვ-აბაშიძისა მიიღებდა, [illegible] განსაკუთრებით იმისთვის წავედით, დაინტერესებულნი ვიყავით მისი თამაშით, მაგრამ პირში ჩალა გამოვლებული დავრჩითო. (აფიშაზე ეწერა—ქართველ მსახიობთა დასი მარ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას აქა და აქაო არ ვიცი საიდან დაასკვნეს, რომ საფაროვ-აბაშიძისას უნდა მიეღო მონაწილეობა, როდესაც წარმოდგენის მონაწილეთა სია ქვემოდ იყო ჩამოწერილი, იქ კი ქ-ნი საფ.-აბაშიძისა მოხსენებული არ იყო. ზემოდაც მოგახსენეთ, წარმოდგენას არ დავსწრებივარ, საქმის გარემოებას არ ვიცნობ, მაგრამ წინადვე ვაღიარებ-მსახიობნი დიდად დამნაშავენიც რომ ყოფილიყვნენ, „სკანდალისტებს“ მაინც თავი არ ემართლებათ თავიანთ უგვანო საქციელის შემდეგ, რადგან პროტესტის გამოსაცხადებლად სხვა გზა არსებობს,

გ. ანიძე.

ახალციხის ავ-პარში

ბევრჯელ დაწერილა გაზეთებში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების დაარსებაზე. როგორც იყო ველირსეთ 2-3 წლის წინად მხოლოდ განაჩენის დადგენილებას, რასაც ხელი მოაწერა 25 კაცმა და საწევრო გადასახადი სამ-სამი მანათი კიდეც შემოიტანეს, რომელიც დღესაც ინახება ბ. მიხეილ დიმიტრის ძე კვალიაშვილთან. რადგანაც 30 წევრი ვერ შესდგა, ამიტომ ვერ დავამტკიცებინეთ განაჩენი (კანონის ძალითა) და დღემდე განყოფილების დაარსების საქმე მიძინებულია. ასეც იქნება, სანამდი ჩვენი საზოგადოება სავსებით არ განვითარდება და არ შეიგნებს კულტურულს სარგებლობას ასეთ დაწესებულებისას. ცხადია, შეუგნებლობაა, რომ ხუთი კაცი აღარა სჩანს ამოდენა ხალხში, რომ კანონიერი რიცხვი მაინც შესდგეს. ჩვენებური მუქ-მუნდირიანი, და ბრჭყვიალა ფოლაქებიანი ყმაწვილები ინტელიგენტობას ჩემულობენ, თუმცა დიდ განათლებულად მოაქვთ თავი, და რა თქმა უნდა, დედაენას როგორღა იკადრებენ. რომ ჰკითხოთ კი, დიდი სიამაყით გვიგებენ: „ნამდვილი ქართველი ვარო!.“

რაბათის სცენა არსებობს 1904 წლიდან, კონსტ. გვარამაძის მეოხებით, რომელსაც მხარი დაუჭირა ქ-ნ კონსტანცია მეფისაშვილმაც. ამ სცენაზე დღემდე 31 წარმოდგენა დადგმულა, 17 კონსტ. გვარამაძისავე თაოსნობით და 15 სხვა და სხვათა მოთავეობით, რომელთა რიცხვში შედიან ქ-ნნი კონსტანცია მეფისაშვილი, ალექსანდრა ბაიბურთელი, ქსენია ჯუღელი და ბ.ბ. ზაქ. დიდიმამიშვილი, გიგო მეფისაშვილი და სხვები.

დღეს ეს სცენა ისე დაძველდა, რომ სათამაშოდ აღარ გამოდგება, მხოლოდ ერთი ფარდაა გამოსადეგი და მეტიც არაფერი, რადგანაც დროებით იყო გაკეთებული და მას შემდეგ გაკეთება, აღარავის უფიქრნია. ამ სცენის განსაახლებლად საკმაო თანხა უკვე გვაქვს 90 მან. 45 კ. ქ-ნი საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო წარმოდგენიდან დარჩენილი, რომელიც ინახება რაბათისავე დედათა სკოლის კომიტეტთან; 50 მან. შარშანწინდელი წარმოდგენიდან დარჩენილი, რომელიც ქ-ნ ქსენია ჯუღელთან არის და 13 მან. შარშანდელი წარმოდგენიდან, ამავე სცენისათვის დარჩენილი, რომელიც გიმნაზიელ იაკობ ვარძელაშვილთან ინახება. სულ შეადგენს 153 მან. 45 კაპ.

ამ თანხით შეგვიძლიან კარგი სცენა შევაკეთოთ. თუ დაგვაკლდება, იმასაც ვიშოვნით, თუ მოვინდომეთ. მაშ, რაღას დაგვიგდია ყური?

თუ წ. კ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ვერ დავაარსეთ 15 მან. უქონლობის გამო, სცენისათვის ხომ გვაქვს. ავარჩიოთ 3—4 კაცი და მივანდოთ მათ ძველი სცენის გადაკეთება. სცენა რიგიანი და სამუდამო მკვიდრი უნდა იყოს და არა ძველი სცენასავით დროებითი. ეს საქმე ამ ზაფხულს უნდა გაკეთდეს, რომ შემოდგომისათვის მზად იყოს. ეს თუ შევასრულეთ, უეჭველად ახალი სცენა შეიქნება ჩვენი დედათა სკოლის და ბიბლიოთეკის მასაზრდოებლად, წელიწადში 10 წარმოდგენა მაინც დაიდგმის· საშუალოდ ხუთას მანათს მაინც მოგვცემს.

კარგი იქნება ქ-ნი ქსენია ჯუღელი ამ 50 მან. და გიმნაზიელი ვარ-

---

*) კრება დანიშნულია 5 მაისს, სადამოთი საადგილ-მამულო კომისიაში (ул. Бѣлинскаго № 2.

ძელაშვილი 13 მან., რომელიც მათთან ინახება, ახლავე შეიტანდნენ და გადასცემდნენ რაბათის დედათა სკოლის კომიტეტსა, რომელთანაც 9 თუმანი ინახება, და როდესაც ერთად შექუჩებული იქნება ფული, მაშინ უფრო გაადვილებულიც შეიქნება საქმის განხორციელება. **მოკეთე.**

გაზ. „შინაური საქმეები“ 1911 წელს.

(მკითხველის შენიშვნები.)

მეხუთე წელიწადია, რაც ქუთაისში გამოდის ყოველ-კვირეული გაზეთი „შინაური საქმეები“. ბეჭდვითი სიტყვის დღევანდელს პირობებში ოთხი-ხუთი წელიწადი მთელი ეპოქაა, რომელიც იშვიათია ცოტად თუ ბევრად თავისუფალ ორგანოს არსებობის ისტორიაში. მართალია, ამ დროს განმავლობაში „შინაურ საქმეებს“ წინ არ დახვედრია არც ერთი „მოულოდნელი და რედაქციისაგან დამოუკიდებელი გარემოება“, რომელიც გამოცემებსაც კი უსპობს სიცოცხლეს რამოდენიმე საათის განმავლობაში სამუდამოდ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გაზეთი გამოდის ქუთაისში, სადაც სტამბის საქმის ჯეროვანად მოგვარებაც კი ხშირად ძნელია, და გაზეთი უკანასკნელ დრომდის მხოლოდ რამოდენიმე სამღვდელო პირის ხარჯით არსებობდა—მადლობის გარდა არა ეთქმის რა ქართველ საზოგადოებას იმ პატარა წრისადმი, რომელიც სათავეში უდგას ამ გაზეთის გამოცემას.

რა იყო „შინაური საქმეები“ 1911 წლამდის, ეს თავის დროზე საკმაოდ გავაცანით ჩვენს მკითხველებს („სახალხო გაზეთი“ 1910 წ. №№ 94 და 132) რომ ერთნაირი, სრული და ერთი მთლიანი წარმოდგენა გვქონოდა მას შემდეგ გამოსულ ნომრების შესახებ, ჩვენ ამ დღეებში ხელმეორედ გადავიკითხეთ „შინაურ საქმეების“ წარსულ 1911 წლის კომპლექტი.

მღვდელი იოანე ლუკიანოვი ღრმა რწმენის და სათუთი გრძნობის ადამიანი უნდა იყოს. მისი ნაწერის ყოველი სტრიქონი, თარგმანია იგი თუ საკუთარი ნაწარმოები, მთელი სიმბოლოა სარწმუნოებისაა ჭეშმარიტების და სინათლის მაძიებელ სულისა. მკითხველს თითქოს თავისი ყურით ესმის ავტორის გულის ძგერა და თვითონაც მასთან ერთად ჰღელავს და აჩქარებული მიფრინავს უკვდავ სიმართლის საძებნელად. მაგრამ მ. ლუკიანოვს ალბად იდეები ბევრი აქვს, ხოლო წერისთვის დრო კი ცოტა და, ჩემის აზრით, ამითი აიხსნება ის ფსიხოლოგიური ნახტომები, რომელიც ჩვენ შევნიშნეთ მის ნაწერებში აქა-იქ (მაგალითად, ეტიუდში „ჯვარზე“ № 9).

ბ-ნი ხომლელი უსათუოდ ნიჭიერი კრიტიკოსი და დამოუკიდებელი მიმომხილველია. მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდისხან ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს რამოდენიმე ზოგადი და სტერეოტიპიულ ფრაზებით მოწნასკვის ხოლმე. უნდა ვიფიქროთ, რომ ან რედაქცია ვითომ საქმისთვის ამოკლებს და თავისებურად „ასწორებს“ ბ. ხომლელის ნაწერებს, და ან ხომლელს წერის დროს მკითხველად სახეში ჰყავს მხოლოდ სამღვდელოება, როგორც ვითომ ცოტათიც კმაყოფილი ელემენტი მკითხველებისა. გულწრფელად ვურჩევთ პატივცემულ ხომლელს, რომ საერთოდ მკითხველი იყოლიოს სახეში და არა მარტო „შინაურ საქმეების“ ხელის მომწერნი.

ძლიერ სასიხარულოა ონოფრე მწირის ახალი მიმართულება ანუ, უკეთ ვთქვათ, გამოპრუნება. თუ მისი 1911 წლის ნაწერებს წინანდელ ნაწერებთან შევადარებთ, ონოფრე მწირი სრულებით აღარ იცნობება: ეს თითქოს ის ონოფრე მწირი არ არის, რომლის ნაწარმოებს ჩვენ ოდესმე „აბდა-უბდა“ ვუწოდეთ („სახ. გაზ.“ 1910 წ. № 94). ეს შედარება ამტკიცებს, რომ ონოფრე მწირი ნიჭიერი ახალგაზდაა, რომელიც უკანასკნელ წლის განმავლობაში შესამჩნევად განვითარდა, გონებრივად იზრდება და მორწმუნე ადამიანიდან თან და თან ირკვევა, საკუთარ ფიზიონომიას იღებს მაღალ იდეალებით აღტაცებული მორწმუნე ქართველი. ონოფრე მწირი მომავალი სასულიერო-ეროვნული მწერალია, თუ მან რაიმე შემთხვევით არ უღალატა იმ მისთვის ახალ მიმართულებას, რომელიც მას ეტყობა 1911 წელს 1906—1910 წლებთან შედარებით. მისი ღრმა და გრძნობიერი ამონაკვესი „სანამდის ასე?“ (№ 15) მთელი ტრაგედიაა გამამულიშვილებულის მორწმუნის სულის ვითარებისა. მშობილი მშობელს უბრუნდება, უსხეულო ღრუბლებიდან ცოდვილ მიწაზე ჩამოდის, სხოლასტიკიდან გამოქცეული ცხოვრებას უბრუნდება, ოცნებიდან სინამდვილეს ეწაფება —და თუ უკანვე არ გაბრუნდა, ჩვენ ეხლა გვეთქმის: „კურთხეულ არს მომავალი!“

„წაღმა-უკუღმას“ ავტორი კ. წუთისოფლელი ცხოვრებაში ჩახედული ბელეტრისტია. მაგრამ ამ დროებით იგი გზა-ჯვარედინზე სდგას და მისი ნიჭის დაფასება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

არა უშავს რა ი. მარგიანს, თუ ყოველდღიურ უმნიშვნელო წვრილმანებს თავს დაანებებს და ისეთ საინტერესო საკითხებს გამოარკვევს სვანეთის ცხოვრებიდან, როგორიც არის მისი „ვინ იყვნენ ბაპები ანუ პაპები?“; ოდესმე „მწყემსში“ დასტამბული და 1911 წ. „შინაურ საქმეებში“ განმეორებული (იხ. № 26 და სხვ.).

კარგია მოწინავე წერილი ივ. ვართაგავასი „რა გვაკლია?“ (№ 24), თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ სასულიერო წოდებაში „რაც უნდა იყოს უფრო წმინდათ დაცულია ჩვენი ეროვნული ზნე-ჩვეულება, ტრადიციები, ენა და ზნეობა“ და „სამღვდელოების ოჯახი დღეს-დღეობით საუკეთესო ოჯახია საქართველოში“. ვაი, რომ იყო და აღარ არის, თუ კრილოვის ბატების ტრადიციებს არ მივყვებით!

აღნიშვნის ღირსია მესამე ნომრის მეთაური (ქალის მუცლის ძალად წახდენის მავნებლობა), „ეროვნული საკითხის გამო“ ნიკორწმინდელისა (№ 14) და „ჩვენი სისაწყლე და უუფლებობა“ (№ 15, მოწინავე).

„დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენო“—იტყვიან ხოლმე, როცა მრავალში ზოგიერთებსღა იხსენიებენ ქებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში აღარ და ვეღარ ითქმის ასე. პირიქით, დანარჩენნი რომ არა დაეწერათ, რა, ამით რედაქცია მხოლოდ ქაღალდის ყაირათს გასწევდა, ხოლო გარეშე მკითხველები სრულებით არაფერს დაკარგავდნენ. ვამბობთ გარეშე მკითხველებზე, რადგანაც ზოგიერთი პირადის ინტერესებით გახურებული ავტორები აშკარა სიამოვნებით ჰკუმპალაობენ იმ კერძო, შინაურ ხასიათის კინკლაობის მორევში, რომელსაც რედაქცია ჩვენთვის გაუგებარ მიზეზების გამო უხვად უთმობს ადგილსა. ამ მხრით გაზ. „შინაური საქმეები“ ზედმიწევნით ღირსია თავისი სახელისა. ვეშაძე, ბარათაშვილი ფანიუსი, ნიკოლაიძე, ხელი, ქაჯეთელი და ზოგიერთნი სხვანი ხანგრძლივ, ვრცლად და დაუბრკოლებლად ყოველივე სამწერლო ეთიკის გარეშე რამდენიც სურთ სწერენ ისეთ პირად უსიამოვნობაზე და კერძო ანგარიშებზე, რომელსაც ყოველდღიური გაზეთებიც კი არ აძლევენ ადგილს და მედიატორებისკენ უთითებენ მოკინკლავეთ. ყოველკვირეული „შინაური საქმეები“ კი, რომელსაც გაცილებით ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდეს კერძო ბარათებისათვის, სულ სხვანაირად იქცევა: თუ სადმე მღვდელმა წირვა გამოუშვა (№№ 3 და 7), ან მეზობელ მღვდელს გაებუტა (№ 11, 13, 21), ვინმემ „კარბელაანთ“ კილოს გალობა კერძო საუბარში დაიწუნა (№№ 12, 23 24, 36, 37), რომელიმე მღვდელი არჩევნებზე გაიშვეს და სხვა ამოირჩიეს (№№ 12, 13, 16, 20, 26 30), ან ვისმე „სახალხო გაზეთმა“ კერძო საქმისთვის ადგილი არ დაუთმო (№ 32), —ყველა „მაშვრალთ და ტვირთმძიმეთ“ შეუძლიანთ მიმართონ „შინაურ საქმეების“ რედაქციას დისერტაციის ტოლა წერილებით და რედაქცია დაუზარებლად უთმობს ადგილს, ავიწყდება გარეშე მკითხველის მოთმინებაც და ჯიბეც. ამ შემთხვევაში მეჭედლიძის გაზეთი ძლიერ წააგავს იმ საჩივრის წიგნსა, რომელიც რკინის გზის ყველა სადგურზე თვალსაჩინო ადგილას ინახება და რომელშიაც ყველას შეუძლია აღნიშნოს თავისი უკმაყოფილება გზის მოხელეებისადმი. ისლა გარჩევაა, რომ საჩივრის წიგნის ფორმა მოწმებს თხოულობს, „შინაუ საქმეების“ ფურცლებზე კი ლანძღვისთვის არც მოწამეა საჭირო და არც საბუთი.

მაგრამ, ღვთის წინაშე, ქებაც კარგი იციან, რომ დარწმუნდეთ, გადაათვალიერეთ № 28 (გვ. 12), თუ რა აღტაცებაში მოდის ერთი მოხუცებული ადამიანი იმ სადილისა გამო, საიდანაც ამისი სიტყვით, „მასპინძელმა ისიც აღარ გამოუშვა“, და რა ხოტბას ასხავს იქ დამსწრეთ. წერილი მთელის წოდებით, სახელით და გვარით არის ხელმოწერილი, მაგრამ ავტორს არ დავასახელებთ, პატივს ვსდებთ რა მის მხცოვანებას.

(დასასრული იქნება)

ახელი.

სარჩევნო სამზადისი

სამღვდელოება და არჩევნები.

ყაზანის ეპარქიის სამღვდელოებას ამ დღეებში კრება ჰქონია სათათბიროს არჩევნების გამო.

კრებამდე არქიელს მიუწერია სამღვდელოებისათვის, არჩევნებსაც უნდა შეეხოთო და თანაც გადაკვრით უთქვამს, ნაციონალისტების მომხრეობაა საჭიროო.

მაგრამ ეტყობა, მღვდლები უპარტიოებს უფრო მიემხრობიან, ვიდრე ნაციონალისტებსა.

„ტიტანიკის“ დაღუპვის

თვალით მნახველის მოთხრობა.

პარიზულ გაზეთ „ლო ჟურნალში“ „ტიტანიკის“ დაღუპვის თვალით მნახველის, პიერ მარეშალის ნაამბობია დაბეჭდილი:

უბედურება კვირა საღამოს მოხდა. ამიტომ ხალხი სადღესასწაულო გუნებაზე იყო. მხოლოდ ერთ კუთხეში, სადაც „პარიზის კაფე“ იყო გამართული, ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა. მარეშალი და ამხანაგები ბანქოსა თამაშობდნენ. როდესაც ქაღალდი დაურიგებიათ, ერთს უთქვამს: „უკაცრავოდ კი, ბატონებო, მაგრამ ეს უკანასკნელი იქნება, რადგანაც ცოლს დავპირდი—თორმეტის ნახევარზე მოვალ მეთქი“. შუა თამაშობის დროს მოთამაშეთ რაღაც უგრძვნიათ, თითქოს რაღაც დასჯახებიათ. დაჯახების ძალა ძლიერ უმნიშვნელო ყოფილა, ჭიქაც ოდნავ შეუტოკებია. ეს ამბავი თერთმეტ საათსა და ოცდა ცამეტ წუთზე მომხდარა. ქაღალდი ყველას ჯიბეში ჩაუწყვია და მაღლა ასულა იმის სანახავად, თუ რა მოხდაო. ფანჯარაში რო გაუხედნიათ, დაუნახავთ აუარებელი მოცურავე ყინულის მთა. განცვიფრებულნი ბაქანზე ასულან. იგი საკსე იყო თურმე ყინულის ნამტვრევებითა. საშინელი გრილი ღამე ყოფილა. გემი თუ დაზიანდა, რომ გვერდზე გადაწეულიყო. უცებ აქეთ-იქიდამ ხალხი გამოცვივდა. ზოგი შეშინებული ქალი საცვლების ამარა გამოვარდა. ზღვაზე სიწყნარე იყო. ვიღაც მეზღვაური ხალხს უამბობდა: ოცი წელიწადია ზღვაზე დავდივარ, ამისთანა სიწყნარე არ მინახავსო. აფიცრები ხალხს ურჩევდნენ წადით, დაიძინეთო.

მარეშალს აფიცრებისათვის ყური არ უგდია და კაპიტანის ძებნა დაუწყვია. მარეშალს კიბეზე მიმავალი კაპიტანი უნახავს. მარეშალი უკან ასდევნებია. პირველ სართულში სალაუნტენისო დარბაზი წყლით იყო თურმე სავსე. კიბეზე 30 კაცი მდგარა. ქვეიდან კაპიტანი რო ამოსულა ძალიან გაფითრებული და დაღონებული ყოფილა. იგი მისულა ხალხთან და უთქვამს: „ქალბატონებო და ბატონნო, ჩქარა დავიძირებით. წადით, ჩქარა საცურავო ქამრები შემოიკარით. ღმერთი იყოს თქვენი შემწე!“ კაპიტანი მაშინვე გაბრუნებულა.

მარეშალი თავის კაიუტაში ჩასულა და საცურავი ქამარი შემოუკრავს.

როდესაც ბაქანზე ამოვედით,—ამბობს მარეშალი,—აფიცერი შემხვდა და მითხრაო: „განა მაგრე უნდა ქამრის შემორტყმა? ალბად გგონიათ, მაშინ გადარჩეთ, როცა თავდაყირა იცურავებთ წყალშია“. აფიცერს კიდევ შერჩენოდა ხუმრობის გუნება. აფიცერი მომეხმარა, ქამარი კარგად გამიკეთა და დასძინა: ახლა კი შეიძლება გადარჩეთ. მაღლა რო ამოვედი, უკვე ასი მგზავრი შეგროვილიყო. მოსამსახურეები დარბოდნენ და მძინარეებს აღვიძებდნენ. კაპიტანის ბძანებით, ზღვაში ჩაუშვეს ნავები. დაიძახეს:

— „ჯერ ქალები უნდა ჩასხდნენ“.

მეზღვაურნი ქალებს გარდა ნავებში არავის უშვებდნენ. თუ ვაჟი მივიდოდა, ხელსა ჰკრავდნენ.

მარეშალის თვალ წინ ასეთი ამბავი მომხდარა: ერთი ქალი ნავისაკენ გაემართა თურმე და ექვსი წლის შვილი მიჰყავდა. მეზღვაურმა შეჰყვირა: არ შეიძლება, ეგ ვაჟიაო. ქალს თურმე ძლივს მოეხერხებინა ბავშვის დამალვა და ისე გავლა. პირველ საათზე მარეშალთან მოსამსახურე მისულა და დანახარჯის ფული მოუთხოვნია. სასტუმროს უფროსს უთქვამს: რა დროს ეგაა, მგზავრებს ნუ აწუხებთო. სწორედ პირველ საათზე მარეშალს კარებში დაუნახავს მილიარდერი ჰუგენგეიმი, რომელიც მაშინ გაეღვიძებინათ. ფულის მეფეს ჯერ არაფერი სცოდნოდა და მარეშალს ეუწყებინა უბედურების ამბავი. ჰუგენგეიმს გულგრილად მოუსმენია მარეშალის ნათქვამი, ხელი ჩამოურთმევია და უთქვამს: რას იზამთ, ჩემთვის სულ ერთია, მე დიდხანს მიცხოვრია. თქვენ კი მეცოდებით, ძვირფასო მარეშალ.

მარეშალი ზევით ასულა, მოაჯირს მიჰყუდებია და მზად იყო თურმე ზღვაში ჩავარდნილიყო. სწორედ იმ დროს ნავი ჩაუშვეს თურმე. მარეშალს ძალა მოუკრეფნია და პირდაპირ ნავში ჩამხტარა. ერთი ქალი მიჰშველებია. ქალს თურმე გულამოჭრილი კაბა ეცვა და ძალიან სციოდა. ნავს დიდის სიფრთხილით უშვებდნენ თურმე და ხუთმეტს წუთს მოსდომებიან. ორკესტრი უკრავდა „მხიარულ ქვრივს“. ნავში სულ 28 კაცი ყოფილა, 90 კიდევ ჩაეტეოდა თურმე. ზოგიერთ ნავში მხოლოდ 15 კაცი მჯდარა.

მარეშალს და ნავის უფროს მეზღვაურს ნიჩბები აუმუშავებიათ. მეზღვაურს ყურში უთქვამს მარეშალისათვის: თქვენ ყოჩაღი ადამიანი უნდა იყვეთ და ამიტომ გაგაფრთხილებთ. მარკონის აპარატი ვერა მოქმედებს. არც პური გვაქვს, არც წყალი. ნავიც დაზიანებულიაო. ორივე ძალიან ერთგულად უსმოდა ნიჩბებსა.

„ტიტანიკი“ ისევ განათებული იყო. გემი ნელ-ნელა იძირებოდა. ორი საათი იქნებოდა, როცა მეზღვაურმა გამოგვიცხადაო, ამბობს მარეშალი, ხუთი წუთის შემდეგ „ტიტანიკი“ დაიძირება და წყალ-ღელვამ შეიძლება ჩვენც გვანთქასო. ქალებმა საცურაო ქამრები შემოირტყეს. ზღვა მშვიდად იყო. 2 საათსა და 20 წუთზე „ტიტანიკი“ დაიძირა, ძლიერ ნელა, არც აფეთქებულა რამე და არც ღელვა გამოუწვევია. უკანასკნელად „ტიტანიკზე“ საშინელი, გულ-შემზარავი წივილ-კივილი ისმოდა.

ნავი განაგრძობდა გზასა. უცებ მეორე ნავი შეგვეხეჩა. იქიდან დაგვიძახეს: აქ სამოცდა ათი კაცია, თუ არავინ დავაკელით, დავიძირებითო. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, ოცი კაცი გადმოვსხით. მეზღვაურმა წამჩურჩულა: ჩემ გვერდზე ბავშვი გაყინულაო. დავხედე და პაწაწა გალურჯებული გვამი დავინახე. ქალების შეშინებისა გვეფიქრებოდა და გვამი ზღვაში ჩუმად გადავაგდეთ. შემდეგ გადავისროლეთ ერთი მგზავრის გვამი. დაიწყო მოჩვენებანი. მგზავრებს მომავალი გემები ელანდებოდათ. ერთმა გერმანელმა აზნაურმა რევოლვერი გაისროლა, ყურადღებას მოგვაქცევენო. ქალებმა წყალი მოითხოვეს. წყალი კი არა გვქონდა. ძლივს დავამშვიდეთ, წყალს დავპირდით. გადარჩენის იმედი აღარსად იყო. თავის მოკვლას ვფიქრობდი, დილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა მეზღვაურმა სანთური შეამჩნია. ეტყობოდა, გემი გვიახლოვდებოდა, მაგრამ უცებ სინათლე გაჰქრა, ცოტა ხანს შემდეგ ისევ გამოჩნდა და მუსიკის ხმაც მოგვესმა. გემი „კარპატია“ მოგვიახლოვდა.

საშინელი და შემაძრწუნებელი ღამე ასე გაგვითენდა...

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

პეკინი. საეროვნო კრებასა და ჩინეთის პრესას თანშაოის საფინანსო პოლიტიკა არ მოსწონს. შეიძლება სამსახურიდან გადადგეს კიდეც.

გირინი. პეკინის სათათბირო პალატამ არ შეიწყნარა 15 საზოგადოების შუამდგომლობა არჩევნების განსაჩივრების თაობაზე. მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ დაადგინა პეკინს დელეგატები გაჰგზავნოს და ახალი არჩევნები დაანიშვნინოს. თუ სურვილი არ აუსრულეს, პალატის ბოიკოტს აპირებენ.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

რომი. იტალიელთა პრესა სწერს: კარპატოსისა, კასოსისა, როდოსისა და სტამპალის კუნძულთა აღების შემდეგ, ოსმალეთი მოვწყვიტეთ ხმელეთა შუა ზღვასა და აფრიკაში გემებს ვეღარ გაჰგზავნისო.

ტობრუკი. იტალიის მზვერავთა რაზმი ხადიჰადს ახლო ბედუინებს წააწყდა. ბედუინებს მოთავეებად ოსმალონი ჰყოლიათ. იტალიელები მტერს დაეცნენ და დაამარცხეს. მოკლულია ასზე მეტი ბედუინი. იტალიელებისათვის ერთი აფიცერი და ორი ჯარის კაცი მოუკლავთ, სამი დაუჭრიათ.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

თავრიზი. სულთანიასთან მდგარი მთავრობის ჯარი, ქურთისტანს წასვლის მაგივრად, ყაზვინში დაბრუნდა, ყაზვინში ქამადანიდან ეფრემი უნდა ჩამოვიდეს.

ჯულფა. ურმიიდან ჩამოსული რუსის ექიმი იუწყება, ჩახრიკში თავის ტკივილით ბევრი იხოცებაო. ხოლერის ავადმყოფობის რამდენიმე მაგალითიც ყოფილა.

თეირანი. ბახტიარები ზენჯანიდან ქამადანს მივიდნენ. საგენტოს ცნობით რაზმს ხელმეორედ გაულაშქრნია მეამბოხეთა წინააღმდეგ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

საზღვარ-გარედ.

1 მაისი.

გერმანიის რეიხსტაგი.

ბერლინი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ საზღვაო კანონ-პროექტი დაამტკიცა მთავრობის რედაქციით, დამტკიცების წინააღმდეგნი იყვნენ სოციალ-დემოკრატები. პოლონელები სხდომას არ დასწრებიან.

სოციალ-დემოკრატმა ბორჰარტმა პროტესტი განაცხადა, უკანონოდ გამომრიცხეთ ხუთშაბათსაო. ლანდტაგმა მართებულად აღიარა მისი გამორიცხვა.

რეიხსტაგმა მიიღო დადგენილება დუელის თაობაზე და მიიღო აგრეთვე სოციალ-დემოკრატების დამატება, დუელში გაუსვლელობისათვის აფიცერი სამხედრო წრიდან არ უნდა გარიცხონო.

ქალთა კონგრესი.

ვენა. სოციალ-დემოკრატების მიერ მოწვეულმა ქალთა კონგრესმა მოითხოვა ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭება და აგრეთვე საყოველთაო საარჩევნო უფლება. მთავრობის კომისარმა პოლონეთის სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელ ქალს ნება არ მისცა პოლონურად ლაპარაკისა.

პოლონელთა კრება.

კრაკოვი. პოლონეთის „ნაროდოვცებმა“ გამართეს ლვოვში რუსინთა უნივერსიტეტის დაარსების საწინააღმდეგო კრება. საუნივერსიტეტოდ სხვა ქალაქი უნდა აერჩიათ, მაგალითად გალიჩი, თორემ ლვოვი დაჰკარგავს პოლონურს ელფერსაო.

ქარიშხალი გერმანიაში.

ბერლინი. დასავლეთ გერმანიაში დიდი ქარიშხალი ასტყდა, ქარმა ძირიანად დაგლიჯა ხეები და სახურავებს იტაცებდა. ალფრედის დიდი ცირკი ძლიერ დააზიანა, 20 კაცი დაამშავა.

რუსეთი

გაზეთების დაჯარიმება

პეტერბურგი. 300 მანეთით დააჯარიმეს ჟურნალი „ზაპროსი ჟიზნი“. 350 მანეთით დააჯარიმეს „რეჩი“.

რონიკერის საქმე

ვარშავა. ექსპერტმა-კალიგრაფმა ორლოვმა განაცხადა: ხრჟანოვსკის დაწერილ ა სიკვდილს წინ დაწერილი ბარათიო. ბრალმდებლის შუამდგომლობის გამო, პალატამ დაადგინა: სხვა ექსპერტ-კალიგრაფსაც დაეკითხოს.

გაზეთის წაღება

კიევი. პოლიციამ წაიღო „დვუხგლავი ორიოლის“ № 70 ნომერი იუშჩინსკის საქმის გამო მოთავსებულ წერილებისათვის.

რუსეთი

პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზდობის გაჩხრეკა და საიდუმლო ამბავი.

პეტერბურგის დამცველმა პოლიციამ ამას წინად მოწაფე ახალგაზდობის ჩხრეკა გააჩაღა და რამდენიმე კაციც დაამატიმრა. ჩხრეკა ძლიერის საიდუმლოებით მოუხდენიათ.

ჩხრეკის მიზეზად ერთ ამბავს ასახელებენ, რომელსაც ადმინისტრაცია ძალიან შეუშფოთებია.

21 აპრილს, საღამოს 7 საათი იქნებოდა, როცა ნიკოლოზის ქუჩაზე მიმავალმა, კარგად ჩაცმულმა ახალგაზდა ქალწულმა ეტლი დაიქირავა და მარინეს საავადმყოფოსაკენ გასწია. როდესაც მეეტლეს ქალი საავადმყოფოში მიუყვანია, იგი უგრძნობლად ეგდო თურმე ეტლში. ქალს რაღაც საწამლავი დაელია. საავადმყოფოში ექიმებმა ძლივს გამოაბრუნეს იგი.

როდესაც ქალი გაუჩხრეკიათ, უპოვნიათ წერილი, რომელიც პეტერბურგის პოლიციის სახელობაზე ყოფილა.

ქალის სახელი და გვარი არ უთქვამს. ამის [illegible] წერილი პოლიციას გაუხსნია; [illegible] წერილი [illegible] დამცველ პოლიციის უფროსისათვის შეუტყობინებია. ქალიშვილი ჟანდარმთა აფიცრების თანხლებით კარეტაში ჩაუსვამთ და ციხეში გაუგზავნიათ.

ამბობენ, ქალი სწერს წერილში, სარევოლუციო ორგანიზაციის წევრი ვარ, კენჭი მერგო და განათლების მინისტრი ლ. ა. კასსო უნდა მომეკლაო. რადგანაც დავალებულის ასრულება ვერ შევძლე, საწამლავი დავლიეო.

პოლიციას ჯერჯერობით მხოლოდ ის გაუგია, რომ ქალი პეტერბურგის რომელიღაც უმაღლეს სასწავლებლის მსმენელი ყოფილა. შემდეგ უკვე გაუგიათ ვინაობა და ადრესი ქალისა, ქალის ოთახი გაუჩხრეკიათ და ამბობენ, დაპატიმრებულის სიტყვები გამართლებულაო. გამოძიება სწარმოებს.

გერმანელნი და პოლონელნი.

სახელგანთქმული რეჟისორი რეინგარტდი რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში დადის და ჰმართავს „ედიპე-მეფის“ წარმოდგენასა. ამას წინად რეინგარდტს მოუნდომებია აგრეთვე წარმოდგენის გამართვა ვარშავაში. რადგან გერმანელები და პოლონელნი ერთმანეთს ძლიერ მტრობენ და ბრძოლა აქვთ გაჩაღებული და გერმანელები ამ ბრძოლაში დამპყრობლებს წარმოადგენენ, რეინგარტდის ვარშავაში ჩასვლის ამბავს პოლონელთა გაზეთები ძლიერ მტრულად დახვედრიან.

„კურიერ ვარშავსკი“ სწერს: „რეინგარტდი ვარშავაში ჩამოსვლას აპირებს და ჩვენ, პოლონელები აშკარად და გულახდილად უნდა გამოვტყდეთ: რეინგარტდს პურმარილით ვერ შევხვდებით, თუმცა ბევრი დაგვიწერია იმის ნიჭის გამო. ერთი ანდაზა გვაქვს: სახლში სტუმარი რო შემოვა, ვითომ ღმერთი შემოსულაო“. მაგრამ ამ ჟამად ეს ვერ გამოგვადგება, ბაგეებზე გაგვეყინება ანდაზის სიტყვები. როდესაც პრუსიელი ჩვენი კოხის საძირკველს გადმოაბიჯებს, ვერაფერს ვეტყვით სანუგეშოს: „პრუსიელი თქვენს სახლშიაც თქვენი მტერია“.

ან და, განა ვერ ესმოება რეინგარდტს, გერმანიის პოლიციამ პოლონელთა თეატრს ბერლინში წარმოდგენების ნება რო არ მისცა? გარდა ამისა, ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფი ერი, სულ სხვანაირად უნდა მოიქცეს. შეუძლებელია რისამე დათმობა, ჯაზუიტიკა! რა გინდა სხვა და სხვა სახედ მოგვევლინოს გერმანელი, მაინც ჩვენი მტერია. ომისა და ბრძოლის კანონებს ნუ გადაუხვევთ... თანამედროვეთა ცხოვრება ძალმომრეობის საწამლავით არის გაჟღენთილი. და მერე ვინ არის ამ საქმეში პირველი? ვინ გამოიგონა ახალი დროების ბარბაროსობა? პრუსიელებმა.

აი, ამიტომ ბ-ნ რეინგარდტს ნუ ექნება ვარშაველთა სტუმართმოყვარეობის იმედი.

ეს წერილები იმის გამო იყო დაწერილი, რომ რეინგარდტმა, რაკი იცოდა საქმის ვითარება, წინდაწინვე წერილი გაგზავნა ვარშავაში, საპოლიტიკო მიზანი არა მქონია რაო.

23 აპრილს რეინგარდტს პირველი წარმოდგენა გაუმართავს „ედიპე მეფისა“.

პოლონელები სულ არ დასწრებიან წარმოდგენასა. ცირკი პოლიციელებით ყოფილა სავსე. სამტრო დემონსტრაცია არავის გაუმართავს.

თითონ რეინგარდტი ვარშავაში არ ჩასულა.

მეზღვაურთა დაპატიმრება. 23 აპრილს ჰელსინგფორსში 20 მეზღვაური დაუპატიმრებია მთავრობას. მეზღვაურნი ჯავშნიან გემებზე, ‚რიურიკსა“ და „ცესარევიჩზე“ მსახურებდნენ. მეზღვაურებისათვის დაუძახნიათ, ბაქანზე აუყვანიათ და იქ დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებულნი პეტერბურგში გაუგზავნიათ.

ამ მეზღვაურებს მემარცხენეთა პარტიების წევრობას აბრალებენ, მათს საქმეს კრონშტადტის სამხედრო-საზღვაო სასამართლო გაარჩევს. სულ სხვა და სხვა დროს, დაუპატიმრებიათ სამოცდა ათ კაცამდე.

ამ საქმის გამო ერთ მცოდნე პირთან უბაასნია „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომელს. მეზღვაურნი სხვა და სხვა სარევოლუციო ორგანიზაციებს ეკუთვნიანო. რევოლუციონერებს ქადაგება დაუწყიათ მეზღვაურებში, როცა ჯავშნოსანი ფინლანდიაში მდგარა. მეზღვაურები გამოტყდარან. მოქადაგეებს კრებებზე დავყავდით და სარევოლუციოდ გვამზადებდნენო.

ლენის ამხანაგობის ‚‚მზრუნველობა.‘‘

გაზეთებმა ლენის, ამხანაგობას უსაყვედურეს, დაჭრილთათვის ჰრი-

ლობის შესახვევად საკმაო მასალა არა გქონიათო. „რუსკოე სლოვოს“ ამის გამო ლენის ამხანიგობის გამგეობის თავმჯდომარის ალფრედ ვინცბურგისაგან წერილი მისვლია. ვინცბურგი ამტკიცებს, ყველაფერი საკმაოდ იყო დამზადებულიო. გაზეთი ამის გამო დასძენს: ნახეთ, ერთი რა მზრუნველობა გამოუჩენია ამხანაგობასა. არამც თუ ყველაფერი დაუმზადებია, ზოგიერთი მსახურიც დაუთხოვნია წინდა წინვე და ურჩევია, „საქონელი აქაურობას მოაშორე და შორს გაირეკეო“.

თეატრი და ხელოვნება

ხუთშაბათს, 3 მაისს ქართულ თეატრში გაიმართება **უკანასკნელი წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**. წარმოადგენენ **„ყაჩაღებ-ს“** ფრანცის როლს შეასრულებს **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**, კარლოსისას **ი. ზარდალიშვილი**.

ზუბ. სახალხო სახლი. ორშაბათს, 30 აპრილს, განსვენებულ მარიამ დემურიას ხსოვნის პატივსაცემად, გამართულ იქმნა წარმოდგენა. ადგილების ფასი ჩვეულებრივზე საგრძნობლად აწეული იყო.

პირველად წარმოადგინეს ტრ. რამიშვილის ახალი პიესა „შეშლილნი“, სცენები ორ მოქმედებად. როგორც სათაურიდანაც სჩანს, ამ პიესის შინაარსად ავტორს აუღია სულით ავადმყოფთა ცხოვრება; მას გაწუზრახავს ცოცხალ სურათებად მაყურებლების თვალ-წინ გადაეშალა საზარელი, ჩამაფიქრებელი სურათები ოდესმე ყოფილ ადამიანთა „ცხოვრებიდან“. თქვენ ხედავთ სხვა და სხვა ავადმყოფთ, რომელთა არეულ ლაპარაკში ამჩნევთ, რომ მის შერყეულ გონებაში წარუხოცელად შერჩენილა, წარსულ ცხოვრებიდან, ერთხელვე ღრმად აღბეჭდილი მომენტები და როცა ავადმყოფი უბრუნდებათ გონების გამოფხიზლების წუთები, ბევრ საგულისხმო აზრს წარმოსთქვამს ხოლმე და ამასთანავე იგონებენ: ზოგი სატრფოს ღალატს, ზოგი აწიოკება-აოხრების სურათებს და ზოგი რას.

ეს სცენები, თუმცა ზერელეთ, მაინც გვახედებენ აგრედვე იმ საღ ადამიანთა ცხოვრებაშიაც, რომელთაც გარემოება აიძულებს თვალყური ადევნონ და მზრუნველობა გაუწიონ სულით ავადმყოფთ. საავადმყოფოში გამეფებული ატმოსფერა თან და თან გავლენას ახდენს საღ ადამიანთა გონება-გრძნობიერებაზედაც. იმათაც თან და თან ნერვები ეშლებათ და, ზოგიერთ მათგანთათვის, დიდი არარაფერი მიზეზიცაა საჭირო, რომ სიცოცხლეც მოისპოს, —როგორც ამას სჩადის პიესაში გამოყვანილი ერთი მეთვალყურეთაგანი. ავტორს გვარიანის დაკვირვებით აქვს გადმოცემული აღნიშნული შემაძრწუნებელი სცენები, რანიც გაუნელებელ ინტერესს იწვევენ მაყურებლებში. ავადმყოფთა ხშირად უაზრო და უადგილო გამოძახილები ავტორს იმდენად ხელოვნურად შეუკოწიწებია, რომ მიუცია მთლიანი სახე სცენებისა.

პიესა დადგმულ იქმნა ჩვეულებრივის ხელოვნებით—წუწუნავასებურად. ამ რეჟისორის ხელმძღვანელობით, სცენის მოყვარენი საგანგებოდ წასულან საავადმყოფოში და ადგილობრივ გასცნობიან სულით ავადმყოფთა ყოფას, ამიტომაც მეტი მიმბაძველობა—ბუნებრივობა ეტყობოდა თითქმის ყველა მონაწილეთა თამაშს. განსაკუთრებით ირჩეოდნენ: რომანიშვილი (სილვა), მ. ქიაურელი (ტიგრან), ს. პეპანოვი (ლეონიდე) ს. სანდალა (ადამ), ა. მეტრეველი (მეთვალყურე) და ქ. კახელი (მეთვალყურე ქალი).

აღნიშნულ პიესის შემდეგ წარმოადგინეს ცნობილი 1 მოქ. პოლიტ. ბუფონადა პოტაპენკოსი (თარგ. ვ. ხახანაშვილისა) ბიუროკრატთა ცხოვრებიდგან: „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“. აქაც მწყობრი, მოფიქრებული, ერთსულოვანი თამაში იყო. საქმის მოსიყვარულე რეჟისორის ხელი ემჩნეოდა.

აღსანიშნავია უნაკლულო თამაში ნ. გოცირიძისა (კრუტოუზდოვი), რომელმაც დამსწრენი ბევრი აცინა. წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. **გ. ა—ლი.**

ს. მცხეთა. კვირას, 29 აპრილს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს მეორე წარმოდგენა. ითამაშეს „ციმბირელი“ ა. ცაგარლისა. ამ მეორე წარმოდგენამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მცხეთაში გვყავს საკმაო სასცენო ძალები, რომელთაც შედარებით სერიოზული პიესების ასრულებაც ძალუძთ. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, ეტყობა გულდასმით და მხნედ უმუშავნიათ სცენის მოყვარეთ. თუ პირველსა და უკანასკნელს მოქმედებებს რეჟისორის ხელი აკლდა და ამ მოქმედებებმა შედარებით სუსტად ჩაიარეს, სამაგიეროდ მეორე და მესამე მოქმედება მწყობრად და ცოცხლად გაატარეს. აქ ხშირად გავიწყდებოდათ რომ სოფლის პატარა სცენას და სცენის მოყვარეებს ხედავთ. გეგონებოდათ დიდ თეატრში პროფესიონალურ მსახიობთა თამაშს უცქერით. როგორც ეტყობა აქ რეჟისორს უფრო მეტი ენერგია და ღვაწლი დაუხარჯავს და ეს გვიმტკიცებს, რომ მას, (ქ. იადონიას) რეჟისორის უნარი არ აკლია. მეტად კარგი ციმბირელი იყო ბ. ა. მრევლიშვილი, მშვენიერი გრიმი, შესაფერი ტანისამოსი, მიმიკა, გრძნობიერება-ყველა ეს მაყურებელს სავსებით აკმაყოფილებდა. მხოლოდ გავბედავთ და მოვახსენებთ ამ სცენის მოყვარეს, რომ რომლის ცოდნა ყველასათვის სავალდებულოა. მშვენიერი კავკაველი პეტუა იყო ბ. ს. იორდანაშვილი და მაშო—ქ. ნ. იორდანაშვილი. ამ ორს სცენის მოყვარეს უტყუარი სასცენო ნიჭი ემჩნევათ, მხოლოდ პირველს ცოტა გაფრთხილება სჭირია, ვინაიდგან შარჟი—სახიფათო გზაა, მეორეს კი ცოტა ხმა მაღლა ლაპარაკი. კარგები იყვნენ ქ. იადონია- (ნარგიზა), ბ. ლ. მეტრეველი — (მაზუთიანი) და ნ. იორდანაშვილი უფრო კარგი იქნებოდა ქ. იადონია, რომ როლი არ გადაესხვაფერებინა. ნაცვლად გულუბრყვილო, ნაზი, კეთილშობილი გულის ქალისა მან რაღაც „grarde damene“-ის სურათი წარმოგვიდგინა და ალბად მიზეზიც ეს იყო რომ უკანასკნელმა სცენამ უფერულად ჩაიარა. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

რადგანაც ჩვენში, სოფლად წარმოდგენების მართვა ახალი ხილია, ჩემს თავს ნებას ვაძლევ რამოდენიმე შენიშვნა გამოვსთქვა. ჯერ ერთი მეტად კარგად მოუფიქრებიათ სცენის მოყვარეთ დადგმა იმგვარი პიესისა, როგორც „ციმბირელია“, მართალია ბევრჯელ ზოგიერთ მეტად დრამატიულ მომენტების შესრულების დროს ხალხში ქვითინის მაგივრად ხარხარი ისმოდა, მაგრამ ეს სულაც აღმასრულებლების ბრალი არ გახლდათ. თვით ხალხი ჯერჯერობით როგორც შეგნებული აუდიტორია ამ გვარი პიესებისთვის არ არის მომზადებული. ამ გარემოებამ სულაც არ უნდა იმოქმედოს პიესების არჩევაზე. პირიქით საჭიროა შედარებით შინაარსიანი პიესების დადგმა, რომ ხალხი ამ მხრივ თან და თან მომწიფდეს და შეეჩვიოს. მეორედ იმას მოგახსენებთ რომ სოფლად თეატრის დაარსება, წარმოდგენების მართვა, ჯერ როგორცა ვსთქვი ახალი საქმეა, მაგრამ ამასთანავე მეტად სერიოზული მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ დიდი სიდინჯე და დარბაისლობაა საჭირო, და თაიგულების ანუ სხვა გვარი საჩუქრების მიძღვნა კი როგორღაც ვერ ეგუება ამ წმინდა საქმეს. ეს სასურველ მოვლენად ვერ ჩაითვლება, მით უმეტეს რომ შეუგნებელი აუდიტორია შესაძლებელია სულ სხვა ელფერს მისცემს ამ ცოტა არ იყოს გადაჭარბებულ ზრდილობიანობას.

წარმოდგენა მეტად გვიან დაიწყო, თითქმის ცხრა საათზე და ღამის თორმეტამდინ გასტანა. ესეც სოფლის სცენისთვის და ხალხისთვის მეტად უხერხულია. კიდევ ვუსურვებთ ანტრაქტების შემოკლებას. თუ შემოსავილი შედარებით ნაკლებია ეს თვით საქმის მომწყობთა ბრალია: ვის გაუგონია სოფელში 1 მან. 80—75 კაპ. ადგილების ფასები.

იმედია ამ წვრილმანებს ჩვენი სასცენო მოღვაწეები ადვილად დასძლევენ. **იგანი.**

ნაძალადევის თეატრი. შაბათს, 28 აპრილს ნაძალადევის ს. სახლის წრის მიერ ქ. ბ. ე. ჩერქეზიშვილის ელ. ჩიქოვანისა და ბ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოადგინეს ირეთელის 4 მოქ. დრამა „ქრისტინე“. გვინახავს იგი სცენაზე, მაგრამ დღეს ის სულ სხვანაირად იყო ნათამაში. ქრისტინეს როლს ასრულებდა ნიჭიერი მსახიობი ე. ჩიქოვანისა რომელმაც ხელოვნურად დაგვისურათა ქრისტინე, ნამეტნავად მეოთხე მოქმედებაში მთლად აატირა დამსწრე საზოგადოება. საუცხოვო იყო ქ. ბ. ჩერქეზიშვილისა მარიკას როლში, ბ. სვიმონიძე კნიაზ ლევანის როლში. აგრეთვე კარგები იყვნენ ქ. ბ. ციმაკურიძე სონას როლში, ს. გოგაშვილისა ნატალიას როლში, ბ. სვანიძე დათიას როლში და სადუნის-შვილი მიკიტნის როლში, დანარჩენები ხელს უწყობდნენ ერთიმეორეს, საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ხალხიც ბლომად დაესწრო. **დამსწრე.**

უსიტყვო დრამა. მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორს კ. მარჯანიშვილს ულაპარაკია „ადეს. ნოვ.“-ის თანამშრომელთან ბ-ნ ვაზნესენსკის „უსიტყვო დრამის“ შესახებ. „უსიტყვო დრამის აზრმა იმდენად დამაინტერესა,—უთქვამს კ. მარჯანიშვილს,—რომ მინდა ამისთვის ახლად დავიწყო მოგზაურობა გაზაფხულზე. რა არის თეატრი? იგი ტაძარია გრძნობისა, სწორედ გრძნობისა, და არა აზრისა, როგორც ბევრსა ჰგონია. ხშირად საჭირო ჰხდება დახატვა ისეთი გრძნობისა, რომლის სიტყვით გადაცემა შეუძლებელია. „უსიტყვო დრამის“ მიზანია სწორედ ამნაირ გრძნობის გადაცემა. ამასთანავე ცხადია, რომ „უსიტყვო დრამას“ შეუძლიან ისეთივე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე, რანაირსაც გაეფექტებული დრამა ახდენს. „სიჩუმით“ გადაცემა გრძნობისა ერთი უძლიერესი საშუალებათაგანი... როგორც რეჟისორმა, მე მიზნად დავისახე ზომების მიღება, რომ „უსიტყვო დრამა“ სინემატოგრაფად არ გადაიქცეს. უმთავრესი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, მსახიობს ექნება. მუსიკა, დეკორაცია და სხვა—მხოლოდ საილიუსტრაციოდ გამოგვადგება. რამდენად შევასრულებთ ჩვენს აზრს, ეს თქვენ დააფასეთ.“

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ალაგი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

24 აპრილის ნომერში ქუთაისიდან შემდეგი ამბავია მოთხრობილი:

„გვირილის“ ერთ გამყიდველს 20 აპრილს ახირებული ამბავი დაემართა. —თუნუქის ყულაბას რაღაცა მანქანებით ძირი გავარდნია და ფული კვალწმინდად დაჰბნევია“. საქმე ამ ნაირად იყო: ერთ ჯგუფს, რომელიც შესდგებოდა ორი ქალისაგან და ერთი კაცისაგან, ჩემი ბინის ახლოს, ასე ოცი-ოცდა-ათ საჟენზე, შეხვდა ექიმი გ. კ. ალშიბაია, რომელმაც შეამჩნია, რომ ყულაბის ძირიდან **ორშაურიანი თეთრი უზალთუნი** ჩამოვარდა. რასაკვირველია მან მიუთითა ჯგუფს ამ გარემოებაზე; ჯგუფმა მაშინვე შესწყვიტა „გვირილის“ გაყიდვა და მოიჭრა ჩემს ბინაზე (ეს შემთხვევა მოხდა არა-უგვიანეს ერთი საათისა, მას შემდეგ რაც ამ ჯგუფმა დაიწყო „გვირილის“ გაყიდვა) ყულაბას რომ დაუკვირდი, აღმოჩნდა, რომ ერთ ალაგას ძირი მოსცილებოდა. როდესაც მოვსწიე ძირი, ის სრულიად მოსცილდა,—ძირი დაუკავშირებელი აღმოჩნდა. ფული ყულაბაში ერთ თუმნამდის იყო, რომელიც ახალ ყულაბში ჩავყარე და ისევ იმ ჯგუფს გადავეცი. ამ ყულაბმა 68 მანეთი შეკრიბა. პირადად მე დიდს მადლობას ვუძღვნი ამ ჯგუფს, რომ ასეთ ყრუ ქუჩაში ამდენი ფული შეჰკრიბეს.

დავრჩები თქვენი პატივისმცემელი

მ. გ. ანჯაფარიძისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-I და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7. ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 6 ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. **„კავკაზ ი მერკური“** ტელ. 682.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მუღლინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი-ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ნავასარდიანი,**
(წ. 1074.4)

იძლევა იჯარით
კახინაურის აგარაკი, „საღორიაში“, **ქ. ქუთაისში**, რომელიც შეიცავს ექვს დესეტინამდე მიწას, გამოსადეგს საბოსტნედ.
დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ქ. **ტფილისში**, გოლოვინის პრ., № 8, ძმ. ზუბალაშვილების კანტორაში. (3.413 3)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე [illegible] ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6—7 ს. [illegible] დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1037.52)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
ბადჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე,
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ, მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან, ძიძებს ამოწმებენ, რჩევის ფასი 50 კ, ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით, სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წამლობა „606“-ით.
(100—1615—59)

არ გაგონილა! მხოლოდ
2 მ. 95 კ. ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 საღირალ ნივთს: 1) მშვენიერ მკვიდრს უბის საათს კაცთათვის—„ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ ფოლადისას. იმართება თავის ჰახრაკით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალა აქვს, 15 ქვიანია. 2) ქალთათვის საუცხოვო ყელის ძეწკვი, ახალი ფასონისა. 3) ბრელოკი-კანემატოგრაფი კომპასით ან საუცხოვო სანახავებით. 4) ზამთრის (ირმის ტყავი) ბუდე საათისათვის. 5) მოხდენილი თითის ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის თვალით. 6) სათეატრო ბინოკლი 4 ახრამტიულ შუშით ჩვეულებრივის ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან ახლოვებს საგნებს. 7) საათის უზრუნველმყოფელი ჭურდებისაგან. 8) პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა, 9-14) მისთვის ექვსი მეტის-მეტად საგულისხმო სურათი. სულ მთელი ეს წყება ღირს მხოლოდ 2 მ. 90 კ., ორი წყება—5 მ. 50 კ. 4 წყება—10 მ. 5) კ. ასეთივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათითა და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა—3 მ. 95 კ. ორი წყება—7 მ. 40 კ. ასეთივე წყება საქალო საათით—3 მ. 70 კ. გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კ. საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ. მისამართი; И. Штрумфельдъ Варшава, электоральная 11. отд. 116. ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით. [illegible] 27618 (1—1238—1)

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—52)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ წელიწადი მერვე. ✦
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій про п. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. თუმანიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**.
(წ.—1627—66 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**